ბრძანება:**ბ34. 342505924**

თარიღი:**28/02/2025**

მცხეთის მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის და ბიუჯეტის პროექტის ფორმირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ

მცხეთის მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის და საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის, 2026 წლის ბიუჯეტის პროექტის სრულყოფილად შედგენის უზრუნველსაყოფად, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ და „ე.ვ“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 76-ე და 77-ე მუხლების, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის და „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის N385 ბრძანებით დამტკიცებული დანართი N4-ის საფუძველზე

ვბრძანებ

1. მცხეთის მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის და ბიუჯეტის პროექტის მომზადების პროცესის კოორდინაციის მიზნით შეიქმნას სამუშაო ჯგუფი დანართი N1-ის შესაბამისად;

2. მცხეთის მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის და ბიუჯეტის პროექტის მომზადების პროცესის კოორდინაციის მიზნით დამტკიცდეს:

ა) მცხეთის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო კალენდარი დანართი N2-ის შესაბამისად.
ბ) სტრუქტურული ერთეულების/საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ წარმოსადგენი განაცხადის ფორმები N3 - 11 დანართების შესაბამისად, მათ შორის:

ინფორმაცია პროგრამის/ქვეპროგრამის შესახებ (დანართი 3);

ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ების და შპს-ების შესახებ (დანართი 4);

ინფორმაცია კაპიტალური პროექტების შესახებ (დანართი 5);

ინფორმაცია სამსახურის/ორგანიზაციის ნაერთი მონაცემების შესახებ (დანართი 6);

ინფორმაცია პროგრამის/ქვეპროგრამის შესრულების თაობაზე (დანართი 7);

საშულოვადიანი სამოქმედო გეგმის 2024 წლის შეფასების თაობაზე (დანართი 8);

ინფორმაცია 2025 წლის სამოქმედო გეგმის შესახებ (დანართი 9);

ინფორმაცია 2026-2029 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის შესახებ (დანართი10);

ინფორმაცია 2026-2029 წლების საშუალოვადიანი ბიუჯეტის შესახებ (დანართი 11).

3. დაევალოთ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურულ ერთეულებს და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირებს, მცხეთის მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის და საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის შედგენისათვის 2025 წლის 25 ივლისამდე მოამზადონ და მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურში წარმოადგინონ:

ა) საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის 2024 წლის შეფასება და ინფორმაცია 2025 წლის სამოქმედო გეგმის შესახებ, მე-8 და მე-9 დანართების მიხედვით;

ბ) ინფორმაცია 2026-2029 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმისა და საშუალოვადიანი ბიუჯეტის შესახებ მე-10 და მე-11 დანართების შესაბამისად, 2025-2028 წლების პრიორიტეტის დოკუმენტით მათთვის განსაზღვრული ასიგნებების ზღვრული მოცულობის ფარგლებში;

4. მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა, მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ სამსახურთან ერთად უზრუნველყოს, მცხეთის მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმისა და 2026 წლის ბიუჯეტის პროექტის შემუშავებასთან დაკავშირებით, სამუშაო ჯგუფის კოორდინაცია და საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის შესაბამისი სწავლების ორგანიზება.

5. ამ ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „მცხეთის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის და ბიუჯეტის პროექტის ფორმირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 1 მარტის N ბ34. 34240612 ბრძანება.

6. ბრძანება ძალაშია გაცნობისთანავე.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონულ სასამართლოში მისი გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. N17).

დიმიტრი ზურაბიშვილი

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი